

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო  
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 64

ქ. ბათუმი

„ 15 “ „ივლისი“ 2021 წ.

**სხდომას ხელმძღვანელობდა:** ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ----- ნუკრი დეკანაძე

**სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:** ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ----- რამაზ მამულაძე

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ----- ვახტანგ გედენიძე

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი ---- მირიან მეტრეველი

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ----- კახა დიასამიძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, 08.04.2021-ის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ბ 14.14210983 (16.04.2021-ის ცვლილება № ბ 14.142110630) ბრძანებისა და ასევე საკონკურსო კომისიის 26.04.2021-ის აპრილის № 63 სხდომის ოქმის შესაბამისად, მერიის საკონკურსო კომისია იხილავს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო ღია კონკურსის შემაჯამებელი შედეგების (ოქმი № 63; 01.07.2021) საფუძველზე, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე გამარჯვებული (წარდგენილი 05.07.2021) კანდიდატის (61001087106) მიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგის შესახებ .

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია, ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით **სამშენებლო ნებართვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის** პოზიციაზე გამარჯვებული კანდიდატის (61001087106) მიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული უარი კანდიდატის მიერ დადასტურებულია როგორც სატელეფონო კომუნიკაციით, ასევე ელ-ფოსტაზე (hr@batumi.ge) ოფიციალური მომართვით (14.07.2021).

კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების მიერ აღინიშნა რომ, აღნიშნული პოზიციის სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხელახალი ღია კონკურსის წესით შეირჩეს სათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირი, რომელიც კონკურსში შეფასდება საშუალოზე მაღალი შეფასებით.

კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მიერ გაზიარებული იქნა მოსაზრებები, რის შემდგომაც კომისიის წევრები შეთანხმდნენ და დაადგინეს.

**კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ცნობად იქნეს მიღებული, გამარჯვებული კანდიდატის მიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის განცხადება.

2. საქართველოს მთავრობის „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ 21.04.2017 წლის №204 დადგენილების 22<sup>1</sup> -ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე **კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს;**

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) კანდიდატს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.

ბ) კანდიდატის ინფორმირების და კონკურსის მიმდინარეობის საჯაროობის მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს **სასამართლოში** დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:  ნური დეკანაძე

კომისიის წევრები:  რამაზ მამულაძე  ვახტანგ გედენიძე

 მირიან მეტრეველი  კაბა დიასამიძე